ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37203301**
თარიღი:**25/11/2020**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის მოწვევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-2, 2^1 პუნქტების, 119-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ასევე ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებების და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის სხდომა მოწვეულ იქნას მიმდინარე წლის 25 ნოემბერს 17:00 საათზე, ხოლო ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საზოგადოებრივი დარბაზის სხდომა წარიმართოს დისტანციურად, სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.
2. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის ორგანიზაციულ-ტექნიკურად ჩატარება უზრუნველყოს საკრებულოს აპარატმა, პასუხისმგებელი პირი (ნ. თავდუმაძე).
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი